

## ნათელა მუზაშვილი

### სტანდარტების ენა

ტერმინოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მოიცავს ინტელექტუალურ სფეროში ადამიანის მოღვაწეობის ყველა უბანს. ტერმინოლოგიის ლინგვისტიკური პრობლემატიკა აერთიანებს საკითხების ფართო წრეს. ესენია: ტერმინთა გენეზისი, სტრუქტურა, სემანტიკური ანალიზი, სიტყვათწარმოებითი ხერხებისა და საშუალებების, ტერმინოლოგიური ნორმებისა და სხვა მრავალი საკითხის შესწავლა [დამბაშიძე 1986: 5]. ტერმინოლოგიური საქმიანობა მნიშვნელოვნად ტერმინოლოგიური უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს უკავშირდება. ტერმინოლოგიური მუშაობა თავს უყრის მრავალ პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხს.

წლების განმავლობაში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მჭიდროდაა დაკავშირებული ენათმეცნიერების ინსტიტუტთან. სტანდარტები მოიცავს პრაქტიკული საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს, ყველა უბანს, რომელთა საქმიანობა წარიმართება და კოორდინირდება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სწორად განსაზღვრავს საერთაშორისო სტანდარტების თარგმნისა და მომხმარებლისათვის მიწოდების მნიშვნელობას. სწორედ ამ სტანდარტების საფუძველზე იქმნება ეროვნული სტანდარტების დანართები და ეროვნული სტანდარტები. სააგენტო საერთაშორისო სტანდარტებს წარმოადგენს ენათმეცნიერების ინსტიტუტში. დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების მიერ გამართული სტანდარტები კი უკვე ნორმატიული ხდება. ამ საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება. სტანდარტების წარდგენა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია სახელმწიფოს პრაქტიკული მოთხოვნები ამა თუ იმ დარგში. ქართულ ენაზე ნათარგმნი სტანდარტი უნდა იყოს ტექსტობრივად, შინაარსობრივად გამჭვირვალე და ტერმინოლოგიურად გამართული. დღეს, როცა

ტერმინოლოგიური სიჭრელეა, ბუნებრივია, მთარგმნელებსაც უჭირთ ტერმინთა სწორად გადმოცემა, ამიტომ დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების ერთობლივი მუშაობა ამ თვალსაზრისით აუცილებელია; საჭიროა ცნების გააზრება და მისი შესაბამისი ტერმინის სწორად დადგენა. სტანდარტი განსაკუთრებულად მოითხოვს ტერმინოლოგიის უნიფიკაციასა და ნორმალიზაციას, მასში ხელოვნურ ჩარევას; ტერმინთა უზუსტობას ზოგიერთი დარგისათვის შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს.

სტანდარტების გადმოქართულებისას (როგორც ნებისმიერი თარგმნის დროს) მრავალი სახის შეცდომას ვაწყდებით. ეს შეეხება სინტაქსურ კონსტრუქციებს, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და სტილისტიკურ შეცდომებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხშირია, რასაც განაპირობებს სათარგმნი ენის სინტაქსურ-სტილისტიკური სტრუქტურა. მოვიყვანთ სტილისტიკური შეცდომებისა და ჩასწორებული ტექსტის მაგალითებს:

„ავიახაზები, რომლებიც აწვდის დახმარებას, საკვებს და/ან განთავსებას ფრენის გადატანის შედეგად“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „ავიახაზები, რომლებიც ეხმარებიან მგზავრებს საკვებით ან განთავსებით ფრენის რეისის გადატანისას“;

„ორგანიზაციამ უნდა განიხილოს, რამდენად ხშირად მოახდენს მონაცემთა ანალიზს და შეფასებას“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „ორგანიზაციამ უნდა განიხილოს, რამდენად ხშირად გააანალიზებს და შეაფასებს მონაცემებს“;

„როდესაც ხდება პირების დანიშვნა აუდიტის ჩასატარებლად“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „როდესაც ნიშნავენ პირებს აუდიტის ჩასატარებლად“, ან კიდევ: „როდესაც ინიშნება პირები აუდიტის ჩასატარებლად“;

„ქმედებები განხორციელდა და კორექცია მოხდა და შედეგად არაკონდიციურობა აღარ განმეორდა“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „ქმედებები განხორციელდა ან შესწორდა და შედეგად, შეუსაბამობა აღარ განმეორდა“;

„ამ დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი სავაჭრო ნიშანი არის მხოლოდ მომხმარებლის კომფორტის მიზნით მოცემული და არ წარმოადგენს მის მოწონებას“ [ისო 4427-1] – „ამ დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი სამარკო ნიშანი წარმოადგენილია მხოლოდ მომხმარებლის ხელშესაწყობად და არა შესათავაზებლად“;

„წყლის ხარისხზე იმ მიწების გავლენა, რომელთა დანიშნულებაა წყლის მიწოდება ადამიანთა მიერ მოხმარებისათვის“ [ისო 4427-1] – „ადამიანთა სამომხმარებლო წყლის მიმწოდებელი მიწების გავლენა წყლის ხარისხზე“;

„განსაზღვროს, მიღწეულია თუ არა განზრახული შედეგები“ [ისო 4427-1] – „განსაზღვროს, მიღწეულია თუ არა წინასწარ განსაზღვრული შედეგები“;

„სადაც გარუჯვა ხდება პირდაპირი მზის სხივებით“ [ისო 4427-1] – „სადაც ირუჯებიან მზის სხივებით“;

„კავშირშია მექანიკურ მახასიათებლებთან“ [ისო 4427-1] – „უკავშირდება მექანიკურ მახასიათებლებს“;

„არ უნდა აღმატებოდეს მნიშვნელობებს, რომლებიც რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ან როგორც მოთხოვნილია ევროპის კავშირის დირექტივით 98/83/EC, რომელიც უფრო მკაცრი მოთხოვნაა თითოეულ შემთხვევაში“ [ისო 4427-1] – „არ უნდა აღმატებოდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ან ევროკავშირის დირექტივით 98/83/EC კატეგორიულად მოთხოვნილ მაქსიმალურ მნიშვნელობებს“.

ზმირია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები, მაგ.: ტრეილერი [4427-1] – **ტრაილერი**; განივ-კვეთა [4427-1] – **განივკვეთა**; მედია საშუალებები [4427-1] – **მედიასაშუალებები**; ნომერი-ლუქსი [4427-1] – **ნომერი ლუქსი**; მინი-სამზარეულო [4427-1] – **მინისამზარეულო**; მინი-ბარი [4427-1] – **მინიბარი**; თვით-მომსახურება [4427-1] – **თვითმომსახურება** და ა. შ.

მრავლად არის სინტაქსური შეცდომებიც:

„ფიტინგები იწარმოება იგივე ნაერთისაგან, რაც მილები“ [4427-1] – „ფიტინგები იწარმოება იმავე ნაერთისაგან, **რომლისგანაც** მილები“;

„განიხილოს რესურსების მოზიდვა გარე მომწოდებლებისაგან, როგორცაა: უნივერსიტეტი, გარე აუდიტორი და სხვ.“ [9002: 2016 (E)] – „განიხილოს რესურსების მოზიდვა გარე მომწოდებლებისაგან, **როგორებიცაა:** უნივერსიტეტი, გარე აუდიტორი და სხვ.“;

„არის თუ არა ორგანიზაცია შემძლე, რომ განაგრძოს მისი დაგეგმილი შედეგების მიღწევა“ [9002: 2016 (E)] – „აქვს თუ არა ორგანიზაციას უნარი მის მიერ დაგეგმილი შედეგის მიღწევისა“;

„ოთახი სხვადასხვა თამაშებით“ [4427-1,9] – „ოთახი **სხვადასხვა თამაშით**“.

მრავლადაა ისეთი შემთხვევებიც, როცა წინადადებებში ყველა ზემოთ აღნიშნული შეცდომა ერთდროულად დასტურდება, მათ შორის, რა თქმა უნდა, პუნქტუაციური შეცდომებიც იგულისხმება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ენათმეცნიერებისა და დარგის სპეციალისტებისათვის სტანდარტებზე მუშაობისას ტერმინთა დაზუსტება, უცხოენოვანი ტერმინების გაქართულება, ქართულენოვან ტერმინთა დაძებნაა. ამ მხრივ სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს და დაზუსტებული ტერმინები სტანდარტებში მკვიდრდება. დავასახელებ რამდენიმე ტერმინს:

**არაკონდიციური** – „არაკონდიციური პროდუქცია შეიძლება აღმოჩენილი იყოს მხოლოდ სერვისის მიწოდების დროს“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)]; როგორც დარგის სპეციალისტებთან მუშაობისას გაირკვა, **არაკონდიციური ნიშნავს შეუსაბამოს**. ეს ტერმინი სტანდარტებში შეიცვალა ჩვენი რეკომენდაციით და წინადადება ასე გაიმართა: **„შეუსაბამო პროდუქცია შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ სერვისის მიწოდებისას“**;

**იმპლემენტაცია** – ამ ტერმინის შესაბამისია **დანერგვა**: „ხარისხის მართვის იმპლემენტაცია“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „ხარისხის მართვის **დანერგვა**“;

**კორექცია** – **შესწორება**: „ქმედებების კორექციას ადგილი ჰქონდა“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „ქმედებები **შესწორდა**“;

**კონდიციური** – **შესაბამისი**: „გაიზარდოს კონდიციური გამომუშავების ხარისხი“ [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – „გაიზარდოს **შესაბამისი** გამომუშავების ხარისხი“.

შეიცვალა შემდეგი ტერმინებიც: **ბენჩმარკინგი** [ისო/ტს 9002: 2016 (E)] – **შესადარისობის ანალოგი**; **აუტსორინგი** – **გარემომსახურება**; **პრეზენტაციული** – **წარმომადგენლობითი**; **ინვოისი** – **ანგარიშგაქტურა** და სხვ.

ამგვარი მაგალითები მრავლად გვხვდება ინსტიტუტში შემოსულ სტანდარტებში. მუშაობა გრძელდება და, ვფიქრობთ, ურთიერთშეთანხმებითი საქმიანობა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის იმის პირობას წარმოადგენს, რომ სტანდარტები, რომელთა და-

ნიშნულება უმნიშვნელოვანესია, ენობრივად, შინაარსობრივად და ტერმინოლოგიურად გამართული და დედნის შესატყვისი იქნება.

## ლიტერატურა

**დამბაშიძე 1986** – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები, თბილისი.

**ისო/ტს 9002: 2016 (E)** – ხარისხის მენეჯმენტის სისტემები – ისო 901:2015 გამოყენების სახელმძღვანელო.

**ისო 4427-1** – პლასტმასის მიღების სისტემები – პოლიეთილენის (PE) მილები და ფიტინგები წყალმომარაგებისათვის.

Natela Muzashvili

## Language of Standards

### Summary

Terminological activities are mostly related to issues of the terminological unification and standardization. The National Agency of Standardization and Metrology correctly defines the importance of translating international standards and making them available for the users. The annexes of the national standards are based on the said standards. Standards include almost all the areas of the practical activity.

Standards translated into Georgian should be textually and terminologically correct. Sometimes it is difficult for translators to translate the terms correctly, so, the joint work of specialists and linguists is particularly important in this regard. It is necessary to understand the concept and define its relevant term. The terms that are defined by specialists and linguists are normatively established.

As it happens with any kind of translation, we encounter a number of problems when translating standards into Georgian – syntactic constructions, morphological-orthographic, punctuation and stylistic mistakes. While working on standards the most important issue is translating specific terms and finding relevant Georgian ones. The specified terms are established in standards. We would like to list some of them: **aracondiuri** “inappropriate”, **implemენტაცია** “implementation”, **korekcia** “correction”, **kondiciuri** “appropriate”, **აუტსორინგი** “outsourcing”, etc.

The collaboration between the National Agency of Standardization and Metrology and the Institute of Linguistics will be a prerequisite that translated standards will be textually, linguistically and terminologically correct and corresponding to the original.